საქართველო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

KA000082196257217

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 507-ს

19 / აპრილი / 2017 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრისთვის“ თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლისა და "ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრისთვის“ თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 აპრილის №20 განკარგულების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442262711) თხოვების ფორმით უვადო სარგებლობაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

ა) თვითმცლელი ნაგავმზიდი (სარეგისტრაციო №OO 499 SS, გამოშვების წელი 2016, მარკა MERSEDES-BENZ, ტიპი სპეციალიზებული, მოდელი - 970PK12, ფერი - მწვანე 6/8, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი WDB97004210122335, საწვავის ტიპი - დიზელი);

ბ) თვითმცლელი ნაგავმზიდი (სარეგისტრაციო №OO 498 SS, გამოშვების წელი 2016, მარკა MERSEDES-BENZ, ტიპი სპეციალიზებული, მოდელი - 950.50, ფერი - მწვანე 6/8, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი NMB95050112180998, საწვავის ტიპი - დიზელი);

გ) 100 (ცალი) ნარჩენების კონტეინერი.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი

დათო გოგუა